

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა
საბჭოს სხდომის

ოქმი N2

ქალაქი ლაგოდეხი

2023 წელი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს (შემდგომში -საბჭო)
სხდომის
ოქმი N2

2023 წლის 5 დეკემბერი

ქალაქი ლაგოდეხი

სხდომა მოწვეულ იქნა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით

სხდომა დაიწყო 17:00 საათზე

სხდომას ესწრებოდნენ:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერი - ჯონდო მდივნიშვილი;

საფინანსო სამსახურის უფროსი - გიორგი მანგოშვილი.

სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი - ნათელა დათუკიშვილი;

საბჭოს თავმჯდომარე - გიული კიკილაშვილი - სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი;

საბჭოს წევრები:

1. ბესიკი ჯაჯანიძე - ფერმერი ;
2. მარინა პეიტრიშვილი - სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი - პედაგოგი;
3. დავით გოგსაძე - სოციალური მომსახურების აგენტი;
4. გიორგი სულამანიძე - ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის დირექტორი;
5. ევგენია კუქსინა - აღმზრდელი ქ. ლაგოდეხის პირველ საბავშვო ბაღში ;
6. ვლადიმერ სეირანოვი - ინდ. მეწარმე - სასურსათო მაღაზიის მფლობელი.
7. გიორგი ხარშილაძე - შპს "ნიუ გრუპის" დირექტორი;

სხდომაზე არ გამოცხადდა საბჭოს წევრები:

გივი წიქარიშვილი - შპს „ლაგოდეხავტოგზა“-ს დირექტორი;

მალხაზი ნადირაძე - შპს "კრისტალი"-ს დირექტორი;

ნიკოლოზ ყარალაშვილი - შპს "არქიმედეს კლინიკა - ლაგოდეხი"-ს სამედიცინო დირექტორი;

მაია მეტრეველი - პედაგოგი ქ. ლაგოდეხის მე-3 საჯარო სკოლაში;

სალომე დარბაიძე - სათემო კავშირი „ვარდისუბანის“ დამფუძნებელი/თავმჯდომარე

(რომლებსაც ეცნობათ სხდომის დღის შესახებ, თუმცა საპატიო მიზეზის გამო ვერ გამოცხადდნენ).

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერი მიესალმა საბჭოს წევრებს დამადლობა გადაუხადა მობრძანებისათვის. ასევე გააკეთა მოხსენება იმის თაობაზე, რომ საბჭოს ფუნქციონირების მთავარი მიზანი არის ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებსა და მუნიციპალიტეტის მერს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირის უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტის მერის საქმიანობის ეფექტურობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა. სწორედ, ზემოხსენებული მიზნების გათვალისწინებით საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ თანახმად მერი ვალდებულია, მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტი წარუდგინოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს და მათგან მოისმინოს ის რეკომენდაციები, რაც საბჭოს წევრებს შესაძლოა ჰქონდეთ.

დღის წესრიგი:

1. მოხსენება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ
2. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაცია „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის“ თაობაზე.

3. მოხსენება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერმა ჯონდო მდივნიშვილმა საბჭოს წარუდგინდა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი და სთხოვა საფინანსო სამსახურის უფროსს გიორგი მანგოშვილს გაეკეთებინა მიმოხილვა საკითხის ირგვლივ.

საფინანსო სამსახურის უფროსმა გიორგი მანგოშვილმა ვრცელი განმარტება გააკეთა, როგორც 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების კუთხით, ასევე ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი და განმარტებითი ბარათი თან ერთვის საბჭოს სხდომის ოქმს და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

4. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაცია „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის“ თაობაზე.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის წარდგენის შემდგომ გაიმართა დისკუსია განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, საბჭოს წევრების მხრიდან დაისვა დამაზუსტებელი შეკითხვები და კითხვა-პასუხის რეჟიმში განხილული იქნა მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მიმართულებები და სამომავლო გეგმები.

საბჭოს წევრების მხრიდან, ერთხმად, მიეცა დადებითი შეფასება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტს.

საბჭოს წევრების გადაწყვეტილება:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტს გაეწიოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დადებითი რეკომენდაცია, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე წარსადგენად.

საბჭოს თავმჯდომარე:

გიული კიკილაშვილი



საბჭოს წევრები:

ბესიკი ჯაჯანიძე



მარინა პეიტრიშვილი



დავით გოგსაძე



გიორგი სულამანიძე



ევგენია კუქსინა



ვლადიმერ სეირანოვი



გიორგი ხარშილაძე



5 დეკემბერი 2023 წ.

რეკომენდაცია

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 86¹ მუხლის, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 7 დეკემბრის # 892.922134117 ბრძანებით დამტკიცებული „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულებისა“ და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს 2023 წლის 5 დეკემბრის სხდომის ოქმი #2-ის შესაბამისად:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტს, გაეწიოს დადებითი რეკომენდაცია ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოზე წარსადგენად.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე:



გიული კიკილაშვილი